

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორია

სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2018-2024)



## სარჩევი

<b>შესავალი.....</b>	<b>3</b>
ისტორია .....	3
პროფილი .....	3
<b>ხედვა, მისია და ღირებულებები.....</b>	<b>4</b>
ხედვა.....	4
მისია .....	4
ღირებულებები .....	5
<b>სტრატეგიული მიზნები .....</b>	<b>5</b>
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.....	5
არსებული გამოწვევები .....	6
<i>SWOT ანალიზი</i> .....	6
მიზნები.....	10
ამოცანები და სამოქმედო გეგმა.....	10

## შესავალი

### ისტორია

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (თსკ) პირველი ევროპული ტიპის უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ოფიციალურად იგი 1917 წლის 1 მაისს გაიხსნა. 1924 წელს მას სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა, ხოლო 1947 წლიდან იგი ატარებს დიდი ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის სახელს.

დაარსების დღიდან თსკ საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევითი, საკონცერტო და უწყვეტი სამუსიკო განათლების კერად იქცა.

კონსერვატორიამ ღირსეულად განვლო განვითარების ასწლიანი გზა და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებასა და პროფესიონალთა თაობების აღზრდაში. მის საუკეთესო ტრადიციებზე მეტყველებს წარმატებები კურსდამთავრებულებისა, რომლებიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწეობენ და ძლიერი სამეცნიერო და საკომპოზიციო სკოლები, რომლებიც საქართველოში სამუსიკო კულტურისა და მეცნიერების ამჟამინდელ დონეს განსაზღვრავენ.

თსკ-ს ფართო საერთაშორისო კავშირები აქვს. 2005 წლიდან არის ევროპულ კონსერვატორიათა ასოციაციის (AEC) წევრი. 2009 წლიდან პარტნიორ უმაღლესებთან ერთად ჩართულია ინსტიტუციური განვითარების პროექტებში; 2015 წლიდან თსკ-ში ამუშავდა Erasmus + ICM პროგრამა. დღეისათვის ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ევროკავშირისა და შენგენის ქვეყნების 20-მდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

თსკ-მ არა მარტო შეინარჩუნა და განავითარა მუსიკალური განათლების მდიდარი საუკუნოვანი ტრადიციები, არამედ დაიმკვიდრა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი აკადემიური სასწავლებლის სტატუსი XXI საუკუნეში.

### პროფილი

თსკ წარმოადგენს უწყვეტი სამუსიკო განათლებისა და კულტურის უმთავრეს კერას ქვეყანაში, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო, საშემსრულებლო-შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით და საკონცერტო საქმიანობას. თსკ-ს „საშემსრულებლო“ და „კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის“ ფაკულტეტებზე სწავლება და კვლევა მიმდინარეობს სამივე საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) აკადემიური პროგრამებით. სამუსიკო განათლების უწყვეტობას უზრუნველყოფს თსკ-ს სტრუქტურული ერთეული „სამუსიკო სემინარია“ (11-წლედ), სადაც სამუსიკო განათლება კომბინირებულია ზოგად განათლებასთან. თსკ-ს სასერტიფიკატო კურსები და მოკლევადიანი პროგრამები ეხმიანება საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას - მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

დღეისათვის თსკ-ს აკადემიური პერსონალი, დოქტორანტიები, კვლევებზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეულები წარმატებით უძღვებიან მუსიკოლოგიის ისეთი მიმართულებების პრობლემატიკის კვლევას, როგორც არის - ქართული ტრადიციული, ახალი პროფესიული და პოპულარული მუსიკა, სხვადასხვა ეპოქის ევროპული პროფესიული მუსიკა, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია, ასევე სახელოვნებო პრაქტიკაზე დაფუძნებული არტისტული კვლევები და სხვა.

დღესდღეობით თსკ-ში აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 88. მათი მოღვაწეობა მოიცავს პედაგოგიურ, პროფესიულ-საშემსრულებლო და ასევე სამეცნიერო მიმართულებებს.

თსკ-ში 450-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასწავლო-სამეცნიერო და საკონცერტო ცხოვრებაში, ეროვნულ თუ საერთაშორისო კონკურსებსა და კონფერენციებში.

## **ხედვა, მისია და ღირებულებები**

### **ხედვა**

თსკ თავის თავს ხედავს ტრადიციაზე დამყარებულ და მომავალზე ორიენტირებულ, საერთაშორისო დონის, რეგიონში და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის წამყვან თანამედროვე სამუსიკო უნივერსიტეტად, ეროვნული და უნივერსალური ღირებულებების მქონე კულტურის კერად.

ამავე დროს იგი აცნობიერებს სამუსიკო განათლებისა და მუსიკალური ხელოვნების როლს ქვეყნისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქტიურად არის ჩართული სულიერი ფასეულობებისა და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში. თსკ მუდმივ სრულყოფას ხედავს მოწინავე გამოცდილების გაზიარებაში, როგორც შემოქმედებითი, ისე სწავლებისა და სწავლის, კვლევისა და განვითარების მიმართულებით.

### **მისია**

- სამუსიკო ხელოვნების, განათლებისა და მეცნიერების განვითარება, საზოგადოების კულტურული აღზრდა, ეროვნული მუსიკალური კულტურის წარდგინება (შესწავლა, დაცვა, პოპულარიზება) მსოფლიო კონტექსტში;

- თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტის მუსიკოს-შემსრულებლების, კომპოზიტორებისა და მუსიკოლოგების მომზადება. სტუდენტების შთაგონება და მათი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, მათთვის ხარისხიანი და კონკურენტული უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს მათ, ადგილი დაიმკვიდრონ საზოგადოებასა და შრომის ბაზარზე.

## ღირებულებები

- შემოქმედებითობა;
- აკადემიური კეთილსინდისიერება;
- აკადემიური და შემოქმედებითი თავისუფლება;
- სტუდენტზე ორიენტირებულობა;
- მრავალფეროვნება და ტოლერანტობა;
- საზოგადოების კულტურული განვითარება;
- ეროვნული მუსიკალური ტრადიციების დაცვა და განვითარება.

## სტრატეგიული მიზნები

### სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული განვითარების გეგმის არსებობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ის საშუალებას იძლევა მაქსიმალური კონცენტრაცია მიმართული იყოს უსდ-ის ძირითადი მიზნებისკენ, დაგეგმილი ვადების და რესურსების გათვალისწინებით.

ოსკ-ს სტრატეგიული მიზნები ემსახურება მისი ხედვის და მისიის განხორციელებას. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

მნიშვნელოვანია პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, რადგან განვითარების გეგმა გაზიარებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირის მიერ.

თსკ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის განსაზღვრა მოხდა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- SWOT ანალიზი:
  - ძლიერი მხარეები - შესწავლილ იქნა თსკ-ს ძლიერი მხარეები, რათა მაქსიმალურად მოხდეს არსებული უპირატესობების გამოყენება, როგორც კონკურენტებთან მიმართებაში, ასევე, ზოგადად ბაზარზე;
  - სუსტი მხარეები - არანაკლებ მნიშვნელოვანია სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მათ გამოსასწორებლად სწორი მიზნების დასახვა, რათა უმოკლეს დროში და მინიმალური დანახარჯით მოხდეს მათი გამოსწორება;
  - განვითარების შესაძლებლობები - როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე არსებული შესაძლებლობების გამოყენება და დროთა განმავლობაში მათი გარდაქმნა ძლიერ მხარეებად;
  - საფრთხეები - არსებული საფრთხეების გამოკვლევა, რისკების შეფასება და მათი დროული პრევენცია.
- ბაზრის კვლევა - პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურენტების ანალიზი;
- უცხოური ანალოგები - თსკ-ს უცხოური ანალოგების შესწავლა, მათი წარმატებული პროექტების/პროგრამების ადაპტაცია ქართულ რეალობასთან;
- განთლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, კულტურის სტრატეგია - ქვეყანაში არსებული ძირითადი პრიორიტეტები განათლებისა და კულტურის მიმართულებით;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ცალკეული თავებით განსაზღვრული მეცნიერებისა და განათლების სფეროში ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობა.

## არსებული გამოწვევები

არსებული გამოწვევების შესაფასებლად ჩატარდა SWOT ანალიზი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სტრატეგიული განვითარების გეგმის გარკვეული ნაწილი.

## SWOT ანალიზი

### ძლიერი მხარეები

- საქართველოში ერთადერთი კონსერვატორიაა, რომელიც ახორციელებს სწავლებას სამივე საფეხურზე სამემსრულებლო, საკომპოზიციო და სამუსიკისმცოდნეო მიმართულებებით. მისტრუქტურაში არსებული სამუსიკო სემინარიისა და სემინარიასთან არსებული ე.წ. “პანსიონი“-ს პროგრამით იგი უზრუნველყოფს როგორც სამუსიკო განათლების მთავარ პრინციპს - უწყვეტობას (დაწყებითიდან საშუალოს გავლით უმაღლესი განათლების ჩათვლით), ისე კურსდამთავრებულთა სემინარიაში და კონსერვატორიაში დასაქმებას და ქმნის სამუსიკო განათლების ერთიან, ეფექტურ სისტემას;
- ერთადერთი საუნივერსიტეტო ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაა ქვეყნის მასშტაბით, სადაც წარმოებს სამუსიკო ხელოვნების კვლევა და შემოქმედებითი აქტივობა;
- სწავლებისა და კვლევის დიდი ტრადიცია - ფართო არეალის მქონე გამოცდილება და კომპეტენცია;
- ძლიერი სამემსრულებლო, საკომპოზიციო და მუსიკოლოგიური მიმართულებები;
- კურსდამთავრებულთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთაშორისო წარმატებები;
- ეროვნული და ზოგადად მსოფლიო მუსიკალური კულტურის ფუნდამენტური სწავლება, კვლევა და პრაქტიკა;
- ქართული ტრადიციული მუსიკის მსოფლიო მასშტაბით ცნობადობასა და აღიარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი;
- საზოგადოების კულტურულ განვითარებაში შეტანილი წვლილი;
- ფართო პარტნიორული ურთიერთობები, მყარი და ძლიერი საერთაშორისო კონტაქტები სხვადასხვა უმაღლესებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მათ შორის AEC (ევროპულ კონსერვატორიათა ასოციაცია), საჯარო და კერძო სექტორთან, დიპლომატიურ კორპუსთან და სხვა);
- სანდო და ძლიერი პარტნიორის ჩამოყალიბებული რეპუტაცია;
- უცხოელი პარტნიორების ჩართულობით შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- განხორციელებული წარმატებული საერთაშორისო პროექტები;
- მისიის შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და მუსიკის ტექნოლოგიის სტუდია;
- უნიკალური საექსპედიციო-საარქივო და საბიბლიოთეკო მასალები;

- სტუდენტური თვითმმართველობის ეფექტური პროექტები;
- შიდა საუნივერსიტეტო სტიპენდია;
- ღია, დემოკრატიული გარემო.

### სუსტი მხარეები

- ერთობლივი საერთაშორისო კვლევითი პროექტების სიმცირე;
- ინტერდისციპლინური კვლევების სიმცირე;
- არადაბალანსებული მობილობა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალში, უცხო ენის არასათანადო ცოდნის გამო;
- არასათანადო კავშირი ამერიკულ რელიგვანტურ უმაღლეს სასწავლებლებთან;
- საერთაშორისოდ აღიარებული და დამკვიდრებული სერვისის არარსებობა (გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების საერთო ევროპულ სისტემაში არყოფნა - EASY), თემატურ ქსელებში არასათანადო პოზიციონირება - POP and JAZZ platform, Artistic research, European Opera Academy, სწავლებისა და სწავლის ევროპულ პანელებში ნაკლები წარმომადგენლობითობა;
- ელექტრონული სწავლების სისტემის უქონლობა;
- განსაახლებელი სასწავლო რესურსი და ინსტრუმენტები;
- მწირი საბიუჯეტო სახსრები და პერსონალის დაბალი შრომითი ანაზღაურება;
- უცხოური გამოცდილების გაზიარებისა და გაცნობის შიდა მექანიზმის არარსებობა;
- პროცესუალური მიდგომების ნაკლებობა;
- განვითარების საჭიროება ცალკეულ სპეციალობებზე.

### განვითარების შესაძლებლობები

- ერთობლივი საერთაშორისო კვლევითი პროექტების ხელშეწყობა, დარგობრივი ინტერაქციის გაღრმავება;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების განვითარება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო კავშირების და გამოცდილების გამოყენება;
- თემატური/შემოქმედებითი ქსელებში აქტიური პოზიციონირება;



- დიგიტალური კომუნიკაციის ფორმების დანერგვა;
- შემოქმედებითი კვლევისა და სწავლების ურთიერთკავშირის ხელშეწყობა;
- სწავლისა და კვლევის უახლესი მეთოდების დანერგვა, ახალი სპეციალობების შემოღება და არსებულის განვითარება (მუსიკის ჟურნალისტიკა, სიმფონიური დირიჟორობა, მუსიკის პედაგოგიკა);
- მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტების, მათ შორის კონსერვატორიის კურსდამთავრებულებისა მოზიდვა;
- საერთაშორისო დონორების გამოყენება დაფინანსების მიზნებისთვის;
- სტუდენტური სერვისის გაუმჯობესება;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წახალისების მექანიზმების შექმნა;
- სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა/წახალისება;
- ხარისხის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება;
- დაფინანსების ზრდა;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა;
- უცხოური გამოცდილების გაზიარების და გაცნობის მექანიზმების შემუშავება;
- პროცესუალური მიდგომების განვითარება;
- საინფორმაციო რესურსის გაუმჯობესება;
- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

## საფრთხეები

- სახელოვნებო განათლებისადმი (სამუსიკო განათლების ჩათვლით) არასათანადო ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან;
- კურსდამთავრებულთა და აბიტურიენტთა მიგრაცია;
- დაფინანსების სიმცირე, დამოკიდებულება დაფინანსების დამატებითი წყაროებზე;
- საგადასახადო შეღავათების არარსებობის გამო კერძო სექტორის დაბალი ინტერესი საქველმოქმედო საქმიანობის მიმართ;
- საზოგადოების მხრიდან ინტერესის კლება სამუსიკო განათლებისადმი, განსაკუთრებით საორკესტრო საკრავების სპეციალობების მიმართულებით;

- არაეფექტური საკადრო პოლიტიკა;
- სამუსიკო ხელოვნების, როგორც ძვირადღირებული დარგის განვითარებისათვის საჭირო სახსრების სიმწირე.

## მიზნები

თსკ-ს სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს:

1. მუსიკის, როგორც კულტურის ენის შესახებ მრავალმხრივი, საერთაშორისო დონის ახალი ცოდნის განვითარება;
2. თსკ-ს როგორც მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და კვლევის უმნიშვნელოვანესი ცენტრის ფუნქციონირება რეგიონის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის და აქტიური პოზიციონირება საერთაშორისო საგანმანათლებლო, შემოქმედებით და კვლევით სივრცეში;
3. სასწავლო-შემოქმედებითი და კვლევითი გარემოს სტიმულირება;
4. საერთაშორისო საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებით სივრცესთან მრავალმხრივი ინტეგრაცია;
5. სტუდენტებისა და პერსონალისთვის სასწავლო და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა და მათი მოტივაციის ამაღლება;
6. მუსიკალური კულტურის სოციალიზაცია;
7. მართვის ხარისხის გაუმჯობესება.

## ამოცანები და სამოქმედო გეგმა

დასახული მიზნების მისაღწევად განისაზღვრა კონკრეტული ამოცანები და შესაბამისი 3 წლიანი სამოქმედო გეგმა.

**მიზანი I** - მუსიკის, როგორც კულტურის ენის შესახებ მრავალმხრივი, საერთაშორისო დონის ახალი ცოდნის განვითარება

ამოცანები	სამოქმედო გეგმა	ვადები
-----------	-----------------	--------

კურიკულუმის განვითარება	მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია და ამოქმედება	ოქტომბერი, 2018
	საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განახლება	2018-2020
	სადოქტორო პროგრამების განახლება	სექტემბერი, 2019
	მუსიკის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის განახლება; 30 კრედიტიანი მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსის შექმნა მუსიკის პედაგოგიკაში	2018-2019
	შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევის დამკვიდრება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.	სექტემბერი, 2020
	ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის დანერგვა e-learning პლატფორმის სახით	2019
	მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა	2019-2020

სწავლისა და კვლევის ინტეგრირება	კურსის „სამუსიკისმცოდნეო კვლევის მეთოდოლოგია“ შინაარსის განახლება	2019
	ახალი კურსის „კვლევის მეთოდები“ შემუშავება და დანერგვა სადოქტორო პროგრამებში	2019
	დოქტორანტების, პოსტდოქტორანტების, მაგისტრების ჩართვა სასწავლო პროცესში	2019-2020

**მიზანი II** - თსკ-ს როგორც მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და კვლევის უმნიშვნელოვანესი ცენტრის ფუნქციონირება რეგიონის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის და აქტიური პოზიციონირება ევროპის საგანმანათლებლო, შემოქმედებით და კვლევით სივრცეში

ამოცანები	სამოქმედო გეგმა	ვადები
სხვადასხვა მიმართულების სამუსიკო კვლევების და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა	კვლევითი და სახელოვნებო შემოქმედებითი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება	2018-2020
	შიდასაკონსერვატორიო კვლევითი გრანტის სისტემის შემოღება პერსონალისთვის	ივნისი, 2018
	მუსიკის წამყვანი ექსპერტების მოწვევა მასტერკლასებზე, ლექციებზე, სემინარებზე	2018-2020
	პრიორიტეტული სადოქტორო პროგრამის დაფინანსება	2018-2020

	სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების რეგულარული მუშაობა	2018-2020
	კონკურსის დაწესება საუკეთესო სტუდენტურ ნამუშევარზე (საკონცერტო შესრულება, კომპოზიცია, მუსიკოლოგია, მუსიკის ჟურნალისტიკა)	2019-2020
ქართული მუსიკის კვლევა, დაცვა, გავრცელება - პოპულარიზება	ტრადიციული მუსიკის ხელნაწერების მოძიება და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა	2018-2020
	აუდიო, ხელნაწერი და ბეჭდური მასალის დიגיტილიზაცია	2018-2020
	თემატური ლექციები, კონცერტები და სემინარები	2018-2020
	კვლევითი პროექტები ქართული მუსიკის შესახებ	2018-2020
მუსიკის დარგში თანამედროვე კვლევებისა და შემოქმედებითი შედეგების გავრცელება და ხელმისაწვდომობის	რეგულარული ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების უზრუნველყოფა	2018-2020

უზრუნველყოფა	ქართული და უცხოენოვანი შესაბამისი ლიტერატურის მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობა და საგამომცემლო საქმიანობის წარმოება	2020
	ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება	2018-2020
	აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო აქტივობებში ჩართვა	2018-2020
	ოსკ-ს პერსონალის ლექციების/მასტერკლასების ჩატარება სხვადასხვა დაწესებულებებში	2018-2020
	მიღებული შედეგების მედია-სამუშაულებებში გაშუქება	2018-2020
	საკონცერტო და პედაგოგიური აქტივობები საქართველოს რეგიონებში	2018-2020
	მონაწილეობა „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში“	2018-2020

მიზანი III - სასწავლო-შემოქმედებითი და კვლევითი გარემოს სტიმულირება

ამოცანები	სამოქმედო გეგმა	ვადები
<p>დარგობრივი ინტერაქციის გაღრმავება, ინტერდისციპლინური კვლევის და მულტიმედიური შემოქმედების ხელშეწყობა</p>	<p>სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან კავშირების გაღრმავება</p>	<p>2018-2020</p>
	<p>სახელოვნებო პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი სამეცნიერო-შემოქმედებითი პროექტების, სემინარების ჩატარება</p>	<p>2019-2020</p>
	<p>საშემსრულებლო ფაკულტეტის კონცერტების რეცენზირება და მათი გაშუქება</p>	<p>2018-2020</p>
	<p>სხვადასხვა მიმართულებების ერთობლივი კონცერტების ორგანიზება</p>	<p>2018-2020</p>
	<p>შემოქმედებითი კვლევისადმი (artistic research) მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში თსკ-ს პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა</p>	<p>2018-2020</p>

	სტუდენტთა, პოსტდოქტორანტების და პერსონალის ჩართვა კვლევით პროექტებში	2019-2020
	პედაგოგების და სტუდენტების ერთობლივი ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში	2018-2020

**მიზანი IV - საერთაშორისო საგანმანათლებლო, კვლევითი და შემოქმედებითი მიმართულებების ინტერნაციონალიზაცია**

ამოცანები	სამოქმედო გეგმა	ვადები
საერთაშორისო საგანმანათლებლო, შემოქმედებით და კვლევით სივრცესთან ინტეგრირების პროცესის გაღრმავება	სტუდენტთა და აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა	2018-2020
	მსოფლიოს წამყვან სამუსიკო სასწავლო და კვლევით დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირების დამყარება და განვითარება	2018-2020
	საერთაშორისო პროექტებში ჩართვა ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დონეზე	2018-2020



	რელევანტურ საერთაშორისო სამეცნიერო, შემოქმედებით ასოციაციებში გაერთიანება	დეკემბერი, 2019
	პარტნიორობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან	2018-2020
	თსკ-ს ინტეგრირება Glomus კონსორციუმში	2019

**მიზანი V - სტუდენტებისა და პერსონალისთვის სასწავლო და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა და მათი მოტივაციის ამაღლება**

ამოცანები	სამოქმედო გეგმა	ვადები
სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება	სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა	2018
ინფრასტრუქტურის განვითარება	სსმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა	2018
	სახანძრო უსაფრთხოების დონის ამაღლება	2018
პერსონალის და სტუდენტების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა	პერსონალის შეფასების და დაჯილდოების სისტემის შექმნა	2018

	შრომის ანაზღაურების ზრდა	2018-2020
	სასტიპენდიო პროგრამის შენარჩუნება	2018-2020
სასწავლო რესურსების გაუმჯობესება	ინსტრუმენტების ბაზის განახლება	2018-2020
	სასწავლო კომპიუტერული პროგრამების განახლება/შეძენა	2018
	ბიბლიოთეკის ფონდების შევსება	2018-2020
	სტამბის აღჭურვა/რეორგანიზაცია	2019-2020
საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება	საიტის და მისი მუშაობის გაუმჯობესება	2018
სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა / წახალისება	ადგილობრივი და საერთაშორისო შემოქმედებითი პროექტები	2018-2020

#### მიზანი VI -მუსიკალური კულტურის სოციალიზაცია

ამოცანები	სამოქმედო გეგმა	ვადები
დაგროვილი ცოდნის გავრცელება და საზოგადოების კულტურულ განვითარებაში წვლილის შეტანა	სტაციონარული და მოძრავი, დროებითი გამოფენების ექსპოზიციები	2018-2020
	საიუბილეო თარიღების აღნიშვნა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობით	2018-2020

	საკონცერტო დარბაზებში კომერციული პროექტების განხორციელება	2018-2019
	სააბონიმენტო პროექტის აღდგენა	2018
	საქველმოქმედო ღონისძიებების ინიცირება / მონაწილეობის მიღება	2018-2020

**მიზანი VII - მართვის ხარისხის გაუმჯობესება**

ამოცანები	სამოქმედო გეგმა	ვადები
აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა	პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმების დამკვიდრება	2019
ხარისხის მართვის მექანიზმების განვითარება	ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმების შექმნა	2018-2019
	გარე შეფასების მექანიზმების განვითარება	2018-2019
	პროცესუალური მიდგომების დანერგვა	2018-2020

	შეფასების ინდიკატორების შემუშავება / გადახედვა ახალი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად	2018-2020
სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია	ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა	2018
	შრომის ანაზღაურების ფორმირების ელექტრონული სისტემის დანერგვა	2018